

რეციდივებისა, მთლიანობაში ეს არ იყო უპრინციპო ბრძოლა ცალკეულ პირთა შორის. მასში ასახვას პოულობდა რეფორმის შემდგომდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები და მათი შედეგები (ნ. შველიძე, 1967, გვ. 4), ქართველი თავადაზნაურობის სხვადასხვა ფენისა და სხვადასხვა საბანკო პოლიტიკის მომხრეთა შორის არსებული წინააღმდეგობანი (ა. კიკვიძე, 1977, გვ. 272).

XIX საუკუნის 90-იან წლებში ქუთაისის საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებულ პოლემიკაში ჩაებნენ, ერთი მხრივ, გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერ-ხალხოსანი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი (1854-1917) და, მეორე მხრივ, “მესამე დასელთა” ერთ-ერთი ლიდერი და მათი იდეური ბელადი ნოე ჟორდანიას (1868-1953).

როგორც ცნობილია, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გარშემო პოლემიკა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც გამგეობას სათავეში ჩაუდგა განათლებით იურისტი, ქუთაისის საზოგადოებაში თავისებურებად პოპულარული პირი კალისტრატე ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე (1889 წლიდან 1902 წლამდე). 1894 წელს მთავრდებოდა გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე კ. ჩიკვაიძის ყოფნის ერთი ვადა. საადგილმამულო ბანკის დამფუძნებლები ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ასარჩევ სამზადისს შეუდგნენ. კ. ჩიკვაიძისა და მის მომხრეთა ოპოზიციამ, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო და კოლორიტული წარმომადგენელი გ. ზდანოვიჩი იყო, მიზნად დაისახა კ. ჩიკვაიძის გადაყენება. გ. მაიაშვილის წერილები “ქუთაისის ბანკოვიადა” სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ეს ნაშრომი საყურადღებოა არა მარტო იმით, რომ წერილებში კარგად ჩანს გ. მაიაშვილისა და მის თანამოაზრეთა შეხედულება ბანკსა და მის დანიშნულებაზე, არამედ იმითაც, რომ მასში გამოთქმული მოსაზრებები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცნობილი პუბლიცისტის პიროვნებასა და საზოგადოებრივ კრედიტზე.

გ. მაიაშვილი წერილებში სისტემატურად და მკაცრად აკრიტიკებდა ბანკის თავმჯდომარეს და მის გამგეობას. იგი კ. ჩიკვაიძესა და მის მომხრეებს ბრალს სდებდა საზოგადოების ინტერესების ღალატში, საარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩეველთა მოსყიდვაში, ბანკის საერთო კრებებზე თავისუფალი სჯაბაასის აღკვეთასა და საამისოდ უხეში ძალის გამოყენებაში. მართლაც, ბანკის კრებებზე ზოგჯერ ვითარება იმდენად მწვავდებოდა, რომ საქმეში პოლიცია ერეოდა.

გარდა გ. მაიაშვილისა, კ. ჩიკვაიძესა და მის მომხრეებს ოპოზიციამში ედგა ქალაქის პროგრესული ინტელიგენცია (კ. ლორთქიფანიძე, დ. ბაქრაძე, კ. აბაშიძე და სხვ.), რომლებიც ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ “ქუთაისურ ბანკოვიადაში”.

გიორგი ზდანოვიჩის წერილებს მოგვიანებით გამოეხმაურა ქართველ მარქსისტთა ერთ-ერთი ლიდერი ნოე ჟორდანიას, რომელმაც გაზეთ “კვალის” 1899 წლის მე-10 ნომერში გამოაქვეყნა მის წინააღმდეგ მიმართული სტატია სათაურით “თავადაზნაურთა საქმეები”, რამაც საფუძველი დაუდო მაიაშვილ-ჟორდანიას პოლემიკას. ამის საპასუხოდ გ. მაიაშვილმა გაზეთ “ნოვიე ობოზრენიეში” დაბეჭდა წერილი, სადაც ხაზგასმით აღნიშნავდა: „შემეძლო ნ. ჟორდანიასათვის პასუხი გამეცა. მაგრამ მე ჯერ-ჯერობით მაჩერებს ერთი გარემოება: მე არ ვიცი, ვინაა ნ. ჟორდანიას. ზოგიერთი სტატიებით, რომლებიც

თვალში მომხვდა, შემძლია დავასკვნა, რომ თეორიულად ის არის იმ ფილოსოფიური საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის აგენტი, რომლის პრინციპული საფუძვლებიც მეც მწამს, და ესაა ჩვენი მსგავსების პუნქტი. მაგრამ შემდეგ, როგორია მისი პუბლიცისტური და ზნეობრივი ფიზიონომია, მე აბსოლუტურად არ ვიცი” (გაზ. “ნოვოე ობოზრენიე”, 1899, №5221).

გ. მაიაშვილი ააშკარავებდა ნ. ჟორდანიას ორჭოფულ პოზიციას. ეს უკანასკნელი ქუთაისის ინტელიგენციას კიცხავდა, მაგრამ არაფერს ამბობდა იმაზე, თუ როგორ აფასებდა თავად ქუთაისის ბანკის მესვეურთა საქმიანობას. მართლაც, ნ. ჟორდანიას წერილებიდან არ ჩანდა, “რომელი ადამიანების, როგორი პრინციპებისა და წესრიგის ზეიმი სურდა ეხილა ქუთაისის სამიწადმოქმედო ბანკში” (იქვე).

გ. მაიაშვილის საპასუხოდ ნ. ჟორდანიამ “კვალში” გამოაქვეყნა თავშეუკავებელი “შენიშვნები”, სადაც მოწინააღმდეგეს უსაფუძვლოდ ბრალს სდებდა ბანკის კრებიდან “წვრილი წევრების” გაგდებას და მათ საარჩევნო უფლების შეკვეცას (გაზ. “კვალი”, 1899, №11). “კვალის” იმავე ნომერში დაიბეჭდა

გ. წერეთლის პოლემიკური ხასიათის სტატია სათაურით “ქუთაისის საადგილმამულო ბანკი და ინტელიგენციათა პარტიები”, რომლის გაგრძელება შემდეგ ნომერში გამოქვეყნდა. ავტორი ნ. ჟორდანიასთან ერთად იმ შეხედულებას ავითარებდა, რომ კ. ჩიკვაიძის ამომრჩევლები ახლადამოცენებული ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლებია და მათ ებრძვის ოპოზიცია — ქუთაისის “ქეშმარიტი ინტელიგენცია” (რ. ნიჟარაძე, 1988, გვ. 243).

თავის მხრივ, ნ. ჟორდანიასთან პოლემიკის დროს გ. მაიაშვილსაც გამოუჩნდნენ მხარდამჭერები. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ყოფილმა მოსწავლემ ლ. თუმანიშვილმა 1899 წელს ხელნაწერ ჟურნალში “კრებული მოწაფების შრომებისა” (№2) გამოაქვეყნა წერილი - “ბ-ნი ნ. ჟორდანია და “კვალი” მისი ხელმძღვანელობის ქვეშ”, რომელიც, როგორც სათაურიდან ჩანს, ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ იყო მიმართული. მასში გარჩეულია “ივერიის”, “მოამბის”, “კვალისა” და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც “მესამე დასისა” და მისი ხელმძღვანელის - ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას ეხებოდა. ავტორი განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ნ. ჟორდანიასა და გ. მაიაშვილს შორის გაჩაღებულ პოლემიკაზე. ლ. თუმანიშვილი იცავდა გ. მაიაშვილს ნ. ჟორდანიას თავდასხმისაგან და აღნიშნავდა ამ უკანასკნელის “უპრინციპო, წინააღმდეგობით სავსე წერილების შინაარსობას” (პ. ვაჭრიძე, 1987, გვ. 141).

რაც შეეხება თავად გ. მაიაშვილს, მან გაზეთ “ნოვოე ობოზრენიეში” (1899, №5221) გამოაქვეყნა “წერილი რედაქციას”, სადაც გააკრიტიკა ნ. ჟორდანიასა და გ. წერეთლის შეხედულება, რომლის მიხედვით ბანკის მესვეური კ. ჩიკვაიძე ქართული დემოკრატიის მესვეურადაც მოჩანდა (რ. ნიჟარაძე, 1988, გვ. 246).

გ. მაიაშვილის საპასუხოდ ნ. ჟორდანიამ გაზეთ “ნოვოე ობოზრენიეში” დაბეჭდა “წერილი რედაქციას”, სადაც აღნიშნავდა, რომ ამ გაზეთის ფურცლებზე გ. მაიაშვილმა ორჯერ გამოაქვეყნა მის წინააღმდეგ მიმართული წერილები, ამიტომ იგი რედაქციას თხოვდა დაებეჭდა შემდეგი განმარტება: “მე ბრალს ვდებ გ. მაიაშვილს იმაში, რომ ის გამოვიდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის წვრილი დამფუძნებლებისა და მსესხებელთა წინააღმდეგ და უწოდა მათ “ქუჩა”,

“ბრბო” და მოითხოვა მათი გაძევება ბანკის კრებიდან”. “შე ვეკითხები მას: თუ საზოგადოებრივი მოღვაწე ვერ შეძლებს ჩადგეს ამ “ბრბოს სათავეში, განა ამაში დამნაშავეა ადამიანური უფლება, განა მის გამო უნდა ყვირილი?! ამაშია საკითხი. ესაა ჩვენი სადაო პუნქტი“ (გაზ. “ნოვოე ობოზრენიე”, 1899, №5229).

ნ. ჟორდანიას მტკიცების საწინააღმდეგოდ, გ. მაიაშვილმა სცადა დაესაბუთებინა, რომ ბანკის კრებიდან “წვრილი წევრების” და “წვრილი მსესხებლების” გაძევება არ მოუთხოვია. ამასთანავე, მისი განმარტებით, კ. ჩიკვაიძის პარტიას ებრძვის არა იმიტომ, რომ ის “წვრილი ადამიანებისაგან”, წვრილი ბურჟუაზიისაგან შედგება, არამედ იმისათვის, რომ კ. ჩიკვაიძის პარტია ვნებს ბანკისა და საზოგადოების ინტერესებს.

გ. ზდანოვიჩის შეფასებით, კ. ჩიკვაიძის პარტია მის ირგვლივ აერთიანებს სხვადასხვა ფენის ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვაგვარი პირადი ინტერესებით იყვნენ დაკავშირებული კ. ჩიკვაიძესთან. გ. მაიაშვილი ნ. ჟორდანიასთან ერთად ერთგვარ საყვედურს გ. წერეთლის მიმართაც გამოთქვამდა, რომელიც, მისი აზრით, “მარქსიზმის კ. ჩიკვაიძის პარტიის სამსახურში ჩაყენებას ესწრაფოდა”. გ. მაიაშვილი აკრიტიკებს ე.წ. ინტელიგენციასაც, რომელმაც თავისი უმოქმედობით ბანკის საქმეები ხელში ჩაუგდო “ბრბოს”, “ქუჩას” და ანტისაზოგადოებრივ ელემენტებს.

ამის შემდეგ ნ. ჟორდანიამ გაზეთ “კვალში” გამოქვეყნებულ “პატარა წერილში” (გაზ. “კვალი”, 1899, №12), გ. წერეთლის მოსაზრების გაზიარებით, სცადა ეჩვენებინა, რომ იმერეთის საერთო განვითარების შედეგად “სოფლის ხალხი დაიძრა თავისი ბუდიდან და აქეთ-იქეთ მიდგა-მოდგა”. მისი ერთი ნაწილი - “წვრილი თავადაზნაურობა და ვაჭართა კლასი” გამოვიდა სხვადასხვა სარბიელზე, მათ შორის ბანკის არენაზე, მას წინ დახვდა “ძველი გვარების წარმომადგენლები”, რომელთაც ბანკი საკუთარ დაწესებულებად მიაჩნდათ. ასე ატყდა შეჯახება. “კალისტრატე ახალი კლასის მომხრეაო”, ხოლო მოწინააღმდეგე “დროგადასულ ფეოდალთა კლასს ჩაებლაუჭაო” — ასკვნიდა იგი.

აღნიშნული პოლემიკიდან ირკვევა, რომ გ. წერეთლის გავლენით ნ. ჟორდანია ყურადღებას ამსხვილებდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების შედეგად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კლასობრივ დაყოფაზე, “შესამე წოდების” გაჩენის ნიშნებზე და ცდილობდა კ. ჩიკვაიძის პარტია “შესამე წოდების” წარმომადგენელთა ინტერესების დამცველად წარმოეჩინა (რ. ნიჟარაძე, 1988, გვ. 247).

ნ. ჟორდანიას მიერ გაზეთ “ნოვოე ობოზრენიეში” 1899 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულ ფელეტონს გ. მაიაშვილი იმავე წლის 4 აპრილს გამოეხმაურა წერილით - “კიდევ წვრილი ადამიანების შესახებ”, სადაც იგი უარყოფდა “მოსაზრებას, თითქოს კ. ჩიკვაიძის ბანაკში მეტია ე. წ. “წვრილი ადამიანები”, ვიდრე ოპოზიციის მხარეს. გ. მაიაშვილის მტკიცებით, “შხოლოდ ნაკლებად განათლებულ პირებს და მარქსისტული მოძღვრების ასოკირკიტებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ყოველგვარი ბრძოლა, რაც საზოგადოებაში მიმდინარეობს, აუცილებლად არის ერთი კლასის ბრძოლა მეორეს წინააღმდეგ, დრომოჭმული კლასის ახლადადორძინებულის წინააღმდეგ”. გ. მაიაშვილი მიუთითებს, რომ თვითონ სრულებით არ უარყოფს კლასობრივ ბრძოლას ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ მიაჩნია, რომ არ შეიძლება ყოველი საზოგადოებრივი ფაქტი, ყოველი

მოვლენა კლასობრივი ბრძოლის თეორიით აიხსნას. “მარქსისტული თეორიის” ყოველი გონივრული მიმდევარი უნდა დაეთანხმოს იმას, რომ ხშირად ბრძოლა წარმოებს არა მარტო კლასებს შორის, არამედ ერთი და იმავე კლასის შიგნით” - მიიჩნევდა გ. მაიაშვილი (გაზ. “ნოვოე ობოზრენიე”, 1899, №5249).

ზემოთ ხსენებულმა პოლემიკამ აშკარად ცხადყო, რომ გ. მაიაშვილი უფრო ჩახედული იყო საქართველოში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლის საკითხებში, ვიდრე მისი ოპონენტი. ერთი საინტერესო დეტალი გ. ზდანოვიჩისა და ნ. ჟორდანიას ურთიერთობიდან. ცნობილია, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში დაისვა საკითხი ქუთაისის ქალაქის თავად გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილის არჩევის შესახებ, რასაც “ცნობის ფურცელმა” რამდენიმე წერილი მიუძღვნა და მას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. ნ. ჟორდანიამ მკაცრად გააკრიტიკა აღნიშნული წერილის ავტორები და ისინი არაკომპეტენტურობასა და არაობიექტურობაში დაადანაშაულა. მისი აზრით: ამ “უპროგრამო რიგიანმა” გაზეთმა რამდენიმე მოწინავე წერილი უძღვნა “უპროგრამო რიგიანი” ხალხის მეთაურს გ. ზდანოვიჩს და ჩააცვიდა, მარგანეცის მრეწველობასთან ერთად, ქუთაისის მეთაურობაც თუ არ იტვირთე, დავილუბებითო. აი, გაზეთის საარაკო საბუთიც: “პირველ ყოვლისა, მგონი, არაფრად დაუშლის ქალაქის თავობა თავისი საქმის (მარგანეცის მრეწველობის) წარმართვას, მეორეც, ეგრეც რომ იყოს (ე.ი. კიდევაც რომ დაუშალოსო), ეს მსხვერპლი უნდა მოუტანოს გ. ზდანოვიჩმა უსათუოდ თავის ქვეყნის კეთილდღეობას (!) და თავის პარტიას...

ხომ ხედავთ, მარგანეცის მრეწველობის შეფერხება თურმე ქვეყნისათვის სასარგებლო ყოფილა. გ. ზდანოვიჩი უთუოდ ქუთაისის თავად უნდა შეიქმნეს, თუნდაც ამას იმერეთის უმთავრესი მრეწველობის დანგრევაც მოყვესო. აი, როგორ ყვარებია იმერეთი “ცნობის ფურცელს”. აქედან განა ცხადი არ არის, რომ ესენი თავისი მეგობრების ასამაღლებლად არაფერს არ ერიდებიან და პიროვნებას საქმეზე მალლა აყენებენ. გ. ზდანოვიჩის პარტიას (ე. ი. თვით “ცნობის ფურცელს”) უნდა ენაცვალოს შავი ქვის მრეწველობაო. ამას ქადაგებს გაზეთი. მართალია გაზეთი, მაგრამ უპროგრამო და “რიგიანი” (ნ. ჟორდანია, 1911, გვ. 436).

ამ თემაზე ისევე, როგორც ქუთაისის საადგილმამულო ბანკთან დაკავშირებით, “ცნობის ფურცლის” პუბლიკაციების გაცნობისას ყოველი მიუკერძოებელი მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ნ. ჟორდანია ფერებს განგებ ამუქებდა და საქმეს ისე წარმოადგენდა, თითქოს გ. ზდანოვიჩის ნიჭისა და პიროვნების პატივისმცემლებს ვიწროპარტიული ინტერესები ამოძრავებდათ. ნამდვილად კი ქართველ მამულიშვილებს გულწრფელად სურდათ ქალაქს, რომელიც რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენდა, სათავეში ჩადგომოდა იმ რანგის ქართველი პატრიოტი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე, როგორც გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილი იყო. პოლემიკური წერილებიდან აშკარად იგრძნობა, რომ ნ. ჟორდანიას გ. ზდანოვიჩისადმი გამომჟღავნებული სწორედ ეს უდიდესი ნდობა და პატივისცემა აღიზიანებდა.

დამოწმებული ლიტერატურა

- ბ. ვაჭრიძე, 1987 - ბ. ვაჭრიძე, ყველას რაიმე აქვს სახსოვარი, ჟურნ. "განთიადი", 1987, №4.
გაზ. "კვალი", 1899, № 10, №11, №12, №13.
ა. კიკვიძე, 1977 - ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია 1801-1890 წწ., თბ., 1977.
რ. ნიჟარაძე, 1988 - რ. ნიჟარაძე, გიორგი მაიაშვილის (ზდანოვიჩი) სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებისათვის, ჟურნ. "განთიადი", 1988, №2.
გაზ. "ნოვოე ობოზრენიე", 1988, №5221, №5229, №5249.
ნ. ჟორდანია, 1911 - ნ. ჟორდანია, რჩეული ნაწერები, ტფ., 1911.
ნ. შველიძე, 1967 - ნ. შველიძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიიდან, თბ., 1967.
ი. ჭავჭავაძე, 1890 - ი. ჭავჭავაძე, ქუთაისის ბანკის საქმე, ტფ., 1890.

KAKHABER KEBULADZE

**POLEMICS BETWEEN GIORGI ZDANOVIC AND
NOE ZHORDANIA ON THE KUTAISI NOBILITY BANK**

In the late half of the 19th century Georgia's credit providing institutions, - various kinds of banks, - played great roles in the social and economic life of the country. Tbilisi and Kutaisi Nobility (or Land) Banks, whose activities were not confined to only economic spheres, enjoyed particular importance over the others.

Kutaisi Nobility Bank (1876-1917) was the first European type lending institution that had greatly promoted the economic and social and cultural life of the west Georgia. Although the bank's official name was "Kutaisi Nobility Bank" but, in fact it was in charge of the money reserves of the entire west Georgia. The representatives of the nobilities of Imereti, Racha – Lechkhumi, Svaneti, Guria and Megrelia took active parts in the management of the bank. The bank was essentially different from the analogous bank in the Russian empire. Kutaisi Nobility bank was in the center of attention of the Georgian people as it was not only a financial stronghold but also an inseparable part for the national liberation movement in the west Georgia. Kutaisi Nobility Bank financed the Nobility Gymnasium and some other school, Georgian Theatre, publication of Georgian books, and with this activities provided invaluable service to the fight of the Georgian people for their independence.

The present paper discusses the polemics, related to the Kutaisi Nobility Bank, between Giorgi Zdanovic (1854-1917) a famous Georgian publicist, statesman, and a revolutionary - populist and Noe Zhordania (1868 – 19 53) an ideology leader of the "The Third Group" of the social democrats